# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის
# ბრძანება №01-09-10/38

ქ. თბილისი 21 02 2020 წ.

სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის „შპს „თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის" სტუდენტებისათვის/აბიტურიენტებისათვის რიგგარეშე მობილობის პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ" 2020 წლის 12 თებერვლის N1.1/18 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020 წლის 24 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება $10^{00}$ საათიდან $16^{00}$ საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი; ოთახი N350);

2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სწავლების დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;

4. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებს მოტივირებული დასკვნების მომზადება (დანართი 2) და სწავლების დეპარტამენტში წარდგენა არაუგვიანეს 2020 წლის 5 მარტისა;

5. 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2020 წლის 10 მარტისა;

6. სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის ჩარიცხვის შესახებ ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2020 წლის 16 მარტისა;

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;

8. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი დავით გურგენიძე

*დანართი 1*

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია :

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის).
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ბაკალავრმა - საშუალო განათლების ატესტატის ასლი,

   მაგისტრანტმა - წინა საფეხურის (ბაკალავრის) დიპლომის ასლი;
5. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების (პირველადი ჩარიცხვის; სტატუსის შეჩერების/ აღდგენის/ შეწყვეტის) დამოწმებული ასლები;
6. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში).

*დანართი 2*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ვიცე-რექტორი ________________ ლ. კლიმიაშვილი

დასკვნა

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

| ინფორმაცია სტუდენტის შესახებ: | |
|---|---|
| სახელი და გვარი: | |
| სტუდენტის პირადი ნომერი: | |
| განათლების საფეხური: | ❑ ბაკალავრიატი ❑ მაგისტრატურა |
| **ინფორმაცია გამომშვები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ:** | |
| გამომშვები უსდ-ს დასახელება: | |
| გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |
| უსდ-ში სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი: | |
| **ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:** | |
| მიმღები ფაკულტეტის დასახელება: | |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |

**სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:**

<table>
<tr><td rowspan="2">საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი</td><td colspan="2">სასწავლო კურსის მოცულობა,</td><td rowspan="2">შეფასება</td><td rowspan="2">სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)</td><td colspan="2">სასწავლო კურსის მოცულობა,</td></tr>
<tr><td>ECTS კრედიტი</td><td>აკადემიური საათი</td><td>ECTS კრედი-ტი</td><td>აკადემიური საათი</td></tr>
</table>

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | | | | | | |

**გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:**

| | |
|---|---|
| სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა: | |
| სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა: | |
| მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა: | |
| მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა: | |

**დასკვნა:**

☐ რეკომენდირებულია გადმოყვანა ☐ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული

**შენიშვნა**

______________________________

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა: ☐

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი

| № | საგნის დასახელება | ECTS კრედიტი |
|---|---|---|
| | | |

სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: ☐

სწავლების დეპარტამენტის უფროსი: ______________ ______________

თ.წერეთელი ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი: ______________ ______________

ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: ______________ ______________

ხელმოწერა